ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 2

ქ. ონი 23. 02. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 10 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, სერგო ლობჯანიძე, გივი მეტრეველი, შუქურა ჯაფარიძე, გიორგი მარკოიშვილი, ვლადიმერ ბერელიძე.

არ ესწრებოდნენ: თეიმურაზ ცეცაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის განათლების, კულტურის ახალგაზრდულ საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი მანანა ჩაგელიშვილი, მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი მარინე რაზმაძე, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ირინა გობეჯიშვილი, რაჭის ახალგაზრდული ასამბლეის წევრები.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი-მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2021 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ადგილობრივი შესყიდვების გეგმის პროექტების შესახებ.

მომხს. ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წელს გაყიდული ქონების შესახებ.

მომხს. ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

7.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

მომხს. ვასილ მეტრეველი-ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

8. რაჭის ახალგაზრდული ასამბლეას პროექტი-,,კინოს დაბრუნება ონში“.

მომხს. ვასილ მეტრეველი-ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი-4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ადგილობრივი შესყიდვების გეგმის პროექტების შესახებ, (მომხს. ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე) საჭიროა, მოიხსნას დღის წესრიგიდან.

დღის წესრიგი (გარდა მე-4 საკითხისა) დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი-მერიის უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.”

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2021 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია 2021 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, სოციალური სფეროს საკითხების დაფინანსება მოხდეს ბიუჯეტიდან და ამისთვის არ იქნეს გამოყენებული სარეზერვო ფონდი.

გადაწყდა: ინფორმაცია მოსმენილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წელს გაყიდული ქონების შესახებ.

მომხს. ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას აცნობა, რომ 2021 წელს მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ ქონება არ გაყიდულა.

გადაწყდა: ინფორმაცია მოსმენილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მ. ჩაგელიშვილმა ვრცლად ისაუბრა ა(ა)იპ საბავშვო ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ არსებულ ხარვეზებზე და განაცხადა, რომ მდგომარეობა საბავშვო ბაღში სავალალოა, რის გამოც აღმზრდელობითი პროცესი კიდევ რამდენიმე თვით გადაიდება.

საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ალ. კერვალიშვილმა კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს-შესაძლებელია თუ არა საკრებულომ იხილოს სამუშაოების ზედამხედველის მიერ შესრულებული ჩანაწერები და სხვა დოკუმენტები, რაც უკავშირდება ბაღის რეაბილიტაციას, ასევე, ალ. კერვალიშვილმა მოითხოვა დაკონკრეტება თუ ვინ ზედამხედველობდა აღნიშნულ სამუშაოებს-ადგილობრივი თუ საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების მიზნით შესყიდვით გამოვლენილი პირი? რაზეც ლ. შერაზადიშვილმა განაცხადა, რომ ზედამხედველი ტენდერის შედეგად იქნა გამოვლენილი, ხოლო დოკუმენტაციის ნახვა შეიძლება დაინტერესების შემთხვევაში. ალ. კერვალიშვილმა დასძინა, რომ ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს არა მარტო საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების უხარისხო შესრულებაზე, არამედ საზედამხედველო საქმიანობის ხარისხზეც, რაშიც ცალკე ბიუჯეტის ფული იხარჯება.

გივი მეტრეველმა განაცხადა, რომ ის, რაც საბავშვო ბაღთან დაკავშირებით ხდება მიუღებელია, ამიტომ ახლა მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ მარტის ბოლოს საბავშვო ბაღმა ფუნქციონირება განაახლოს.

ლ. შერაზადიშვილმა აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღში არსებული სავალალო მდგომარეობის გამო, შეუძლებელია სააღმზრდელო პროცესის დაწყება, რაზეც პასუხისმგებლობა თითეულმა ჩვენგანმა უნდა ავიღოთ.

ს. გუგეშაშვილმა ისაუბრა 2021 წელს საპატიო ონელის წოდებაზე წარდგენილი ადამიანების დაჯილდოების აუცილებლობაზე. ასევე აღნიშნა, რომ ყურადსაღებია თეატრის საკითხი, არსებობს რეჟისორის შტატი, თუმცა სპექტაკლები არ იდგმება.

გადაწყდა: ინფორმაცია მოსმენილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

მომხს. ვასილ მეტრეველი-ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

ბიუროს სხდომაზე დარეგისტრირდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობა და უმრავლესობის ლიდერად დასახელდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე შუქურა ჯაფარიძე.

მოისმინეს: 7. რაჭის ახალგაზრდული ასამბლეას პროექტი-,,კინოს დაბრუნება ონში“.

მომხს. ვასილ მეტრეველი-ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ რაჭის ახალგაზრდული ასამბლეას პროექტი ,,კინოს დაბრუნება ონში“ მისასალმებელია და საკრებულო მხარს უჭერს აღნიშნული პროექტის განხორციელებას, ტექნიკურ მხარის მოგვარებას მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს.

გადაწყდა საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე